საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №81/ნ
2014 წლის 1 ივლისი

ქ. თბილისი

„ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე **ვბრძანებ:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებაში (სსმ, №112, 26/09/2005; სარეგისტრაციო კოდი: 040.030.000.22.022.007.724) და ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი №2-ის:

ა) „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს – ქალაქ დედოფლისწყაროს საგანმანათლებლო რესურსცენტრს დაქვემდებარებული საჯარო სკოლების“ თავის მე-16 გრაფა ამოღებულ იქნეს;

ბ) „საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს – ქალაქ ახმეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრს დაქვემდებარებული საჯარო სკოლების“ თავის 25-ე გრაფის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 26-ე გრაფა:

26	ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ კასრისწყალის საჯარო სკოლა	სოფელი კასრისწყალი	დაწ-საბ-საშ

მუხლი 2

ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე**